

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

პრაქტიკაში ხშირად ჩნდება აუცილებლობა როდესაც საბაჟო ორგანოს ჭირდება ინფორმაცია კონკრეტულ იმპორტირებულ სასქონლო პარტიაზე ექსპორტიორი ქვეყნის შესაბამისი ორანოდან. ასეთი ინფორმაციის მიღება ხშირ შემთხვევაში აკრძალულია, ვიანიდან საქართველოს არ აქვს გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება ამ ქვეყნებთან. აღნიშნული პრობლემა მოსახსნელად საჭიროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიეცეს უფლება გააფორმოს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება შესაბამის ქვეყნებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიეცეს უფლება გააფორმოს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება შესაბამის ქვეყნებთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის დამატებით დგინდება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სახელით დებს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებს საგადასახადო და საბაჟო სფეროში თანამშრომლობის თაობაზე

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი მოსაკრებლის გაუქმებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.